# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 75 (1245) | შაბათი, 24 ივნისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა




## ტურნირი სოფიაში

...ახალგაზრდა ოსტატთა საერთაშო-...ო ტურნირის მეშვიდე ტურში ...რგენიძე შავებით თამაშობდა იუ-...სლაველ ვუკჩევიჩის წინააღმდეგ. ...ებიუტი მან მეტად ორიგინალურად ...თამაშა, მაგრამ გადამწყვეტ მო-...ენტში ფიგურა დაკარგა ორ პაიკ-... პარტია გადაიდო, სადაც თეთ-...ებს მოგების დიდი შანსები ჰქონ-... მართლაც, იუგოსლაველმა შეძ-...ო უპირატესობის რეალიზაცია და ...იპოვა მეტად საჭირო ქულა. ამ ...ტურში რადოვიჩმა მოუგო პადევსკის ...ა ლიდერთა ჯგუფში შევიდა. ბეუ-...ამ დაამარცხა გერენსკი. მინევმა ...აგო სილაგისთან, რის შემდეგ ეს უკანასკნელი სათავეში ჩაუდგა შე-ჯიბრებას.

მერვე ტურში გურგენიძემ თავისე-ბური რევანში აიღო შეჯიბრების ლიდერ სილაგისთან შეხვედრაში. ქართველმა ოსტატმა დასაწყისიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და ლედო-ფლის ხაზის გახსნით იერიში მიიტა-ნა მოწინააღმდეგის ბანაკზე. სი-ლაგი შეეცადა ხარისხის შეწირვით გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგ-რამ გურგენიძემ ზუსტად, ეფექტუ-რად ჩაატარა პარტიის დანარჩენი ნაწილი და გაიმარჯვა.

ამ ტურის პარტიებიდან ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა პადევსკი-ვუკჩევიჩისა და ცვეტკოვ-რადოვიჩის პარტიები.

მეცხრე ტურში გურგენიძემ სძლია გოლცს.

ცხრა ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს საქართველოს ჩემპიონი, რომელსაც 6 ქულა აქვს.



## ჭადრაკი საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის სახეობაა

ჩვენ არ შევუდგებით საქართ-ველოში ჭადრაკის განვითარების ისტორიაზე ლაპარაკს. ეს ასე თუ ისე ცნობილია, ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ უკანასკნელ წლებში რეს-პუბლიკაში აღიზარდა ნიჭიერ მო-ჭადრაკეთა მთელი პლეადა და დიდი ხნის შესვენების შემდეგ საქართვე-ლოს წარმომადგენელმა მონაწილეო-ბა მიიღო საკავშირო პირველობის ფინალში.

ჭადრაკის მოყვარულებმა შვებით ამოისუნთქეს — „როგორც იქნა — ამბობდნენ ისინი. — საქმე დაიძრა, გაცამტვერდა ის მავნე აზრი, რომე-ლიც ღაღადებდა, რომ ჭადრაკი ქარ-თველების საქმე არ არისო. ახლა დიდ ძალას წარმოადგენენ საქართ-ველოს მოჭადრაკე ქალები ნ. გაფ-რინდაშვილი, ე. კაკაბაძე, მ. ტოგო-ნიძე და კიდევ მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც ამას წინათ საქართველოს პირველობაში მონაწილეობდნენ და საკმაოდ ენერგიული, მოსაზრებული თამაში აჩვენეს. ვაჟებიდან განსაკუ-თრებით გამოირჩევა ოსტატი ბ. გურ-გენიძე, შემდეგ მოდიან ოსტატი მ. შიშოვი (ამ უკანასკნელმა სულ ახ-ლახან „ლოკომოტივის" ჩემპიონობა მოიპოვა) პირველთანრიგოსნები ლომაია, მაჭავარიანი და სხვები.

განსაკუთრებით მწვავედ დადგა სა-კითხი მას შემდეგ, როდესაც ცნობი-ლი გახდა, რომ ჭადრაკი შეტანილია საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარ-ტაკიადის პროგრამაში. მუშაობის გამოცოცხლებისა და ახალი, ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინების მიზ-ნით მიმდინარე წელს მრავალი მნიშ-ვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. რაც მთავარია, გადახალისდა ხელმ-ძღვანელი რესპუბლიკური სექცია, ჩამოყალიბდა ახალი სასწავლო ჯგუ-ფები, ხოლო თბილისში—საჭადრაკო სკოლაც. გაიხსნა საჭადრაკო კლუბი ზუგდიდში, რუსთავში და სხვაგან (აქვე უნდა გამოვთქვათ საყვედური ფიზკულტურის სტალინირის საქალა-ქო კომიტეტის მიმართ, რომელმაც საჭადრაკო კლუბი ძალოსნებს გა-დასცა. ახლა ირკვევა, რომ იქ არც ძალოსნები მეცადინეობენ და არც მოჭადრაკეები). საქმე მართლაც დაი-ძრა, ყველა მოუთმენლად მოველო-დით 1958 წლის საქართველოს პირ-ველობას ვაჟთა შორის. აქ უნდა შეჯამებულიყო ჭადრაკში ჩვენი მუ-შაობის შედეგი, დადგენილიყო ნაკ-რები გუნდის საორიენტაციო შემად-გენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა საბჭოთა კავშირის 1958 წლის გუნდურ პირველობაში და შეუდგებოდა მზადებას საბჭოთა კავ-შირის ხალხთა II სპარტაკიადისათ-ვის.

სტალინირისა და ფოთის ნახევარ-ფინალებმა და თბილისის ჩემპიონატ-მა გამოავლინეს 18 საუკეთესო მო-ჭადრაკე და 9 მაისს მონაწილენი შეუდგნენ ბრძოლას პირველობისათ-ვის. მე-11 ტურიდან სპორტის ოს-ტატმა გურგენიძემ ხელთ იგდო ინი-ციატივა და 17 შესაძლებლიდან 14 ქულის დაგროვებით დაიკავა პირ-ველი ადგილი. მეორე-მესამე ადგი-ლები გაიყვეს ოსტატებმა შიშოვმა და ბუსლაევმა. მეოთხე ადგილი დაიკა-ვა საერთაშორისო ოსტატმა კასპა-რიანმა. შემდეგ მოდიან ბრეიტმანი, ლომაია, მაჭავარიანი და ა. შ.

რა გვიჩვენა ჩემპიონატმა? მხოლოდ პირველი სამეულის (ოსტატების) დამაკმაყოფილებელი, ხო-ლო ოსტატობის კანდიდა-ტების (ბლაგიძე, გიორგა-ძე, კალატოზიშვილი) ყოვ-ლად შეუწყნარებელი თამა-ში. ახალგაზრდა პირველ-თანრიგოსნები გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში აღმოჩნდნენ. მონაწილეთა უმეტესობა თამაშობდა დუ-ნედ, ყოველგვარი შემოქმე-დებითი აღგზნების გარეშე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ზო-გიერთი მონაწილე გრძნობდა რა თა-ვის მომზადების დაბალ დონეს საპ-რიზო ადგილზე გამოსვლას სხვადა-სხვა მაქინაციებით ცდილობდა. ოს-ტატობის კანდიდატი ბრეიტმანი, რომელმაც მთელი ტურნირი წუწუნ-ში ჩაატარა, იქამდე მივიდა, რომ თა-მაშის დროს კასპარიანთან მოლაპა-რაკება გაება პარტიის ყაიმით დამ-თავრების თაობაზე.

ბრეიტმანის ფაქტზე არაფერს ვი-ტყოდით, რომ იმავე დღეს უფრო ალმაშფოთებელ შემთხვევას არ ჰქო-ნოდა ადგილი. ოსტატმა ბუსლაევმა, როდესაც გაინაღდა საკავშირო ნახე-ვარფინალში თამაშის უფლება, პირ-ველთანრიგოსან მორჩილაძესთან ერ-თად გადაჰკრა, გადაჰკრა და მერე როგორ? საჭადრაკო კლუბში, სადაც მისი ამხანაგები თამაშს აგრძელებდ-ნენ ატეხა დებოში, უშვერი სიტყ-ვებით გალანძღა როგორც თავისი ამხანაგები, ისე დამსწრე მაყურებ-ლები.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მოჭად-რაკეები (ზოგიერთის გამოკლებით) არც ტექნიკურად და არც მორალუ-რად არ ბრწყინავენ და ამაში პირ-ველ რიგში დამნაშავენი არიან სპორტული საზოგადოებები. ყოველი მათგანის ხელმძღვანელი დაუფიქ-რებლად მიგითითებთ, თუ რომელი მოჭიდავე, ან კალათბურთელი რო-მელ სექციაშია გაერთიანებული, როგორ ემზადებიან ამა თუ იმ შე-ჯიბრებისათვის და სხვ. სამწუხა-როდ, მოჭადრაკეებზე ისინი ვერა-ფერს გვეტყვიან. ფაქტისათვის შორს წასვლა არაა საჭირო. აბა რომელმა საზოგადოებამ შეამოწმა თავისი სპორტსმენის მომზადების დონე დამ-თავრებულ ჩემპიონატის წინ. დარწ-მუნებული ვართ, რომ არც ერთმა.

ფიზკულტურისა და სპორტის რეს-პუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა 1958 წლის ჩემპიონატის შედეგები, სათანადო სასჯელი დაადო უდის-ციპლინოებს (კერძოდ, ბუსლაევს მოეხსნა სპორტის ოსტატის წოდება და დისკვალიფიცირებულია), სა-ფუძვლიანად გააფრთხილა ყველა მოჭადრაკე და აღნიშნა, რომ საბ-ჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტა-კიადის მომზადების დღეებში ჭად-რაკში ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია და თუ მდგომარეობა საფუძვლიანად არ გარდაიქმნა მი-ღებულ იქნება უფრო მკაცრი ზო-მები.

საჭიროა გარდაიქმნას ცენტრალუ-რი საჭადრაკო კლუბის მუშაობა. ეს დაწესებულება მოჭადრაკეთა შემოქ-მედებითი დონის ამაღლებას, ნიჭიე-რი ახალგაზრდების აღზრდას უნდა ემსახურებოდეს. ვერავითარ შემთხ-ვევაში ვერ შევურიგდებით იმას, რომ კლუბი გადაქცეულია გართო-ბის და უსაქმოთა თავშესაყარ ად-გილად.

საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის უკვე ემზადებიან სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარ-მომადგენლები. მათ ერთი სურვილი ამოქმედებთ — ხელი შეუწყონ, სა-კუთარი წვლილი შეიტანონ საქართ-ველოს სპორტული დელეგაციის წარ-მატებაში. ასეთი პატრიოტული სურ-ვილი უნდა ამოქმედებდეთ მოჭად-რაკეებსაც.

## შეჯიბრებას ესწრებოდნენ ვეტერანები

ვისაც ქართული ჭიდაობის მაუწყე-ბელი აფიშები არ წაეკითხა, ძალიან გაუკვირდებოდა განვლილ კვირას 5 საათისათვის კიროვის სახელობის პარკისაკენ მიმავალი დიდძალი ხალ-ხის დანახვა.

შაშო ვერული (კახნიაშვილი), — ვა-ნო გლდანელი (წამალაშვილი), იოსებ მეჯვრისხეველი (ურიგაშვილი) და საქართველოს გოლიათი სანდრო კან-დელაკი — ქართველ მოჭიდავეთა ძველი პლეადის ეს სახელგანთქმული ფალავნები, რომლებსაც მაყურებელ-თა უმრავლესობა მხოლოდ ნაამბობი-სა და გაგონილის მიხედვით იცნობ-და, ამ დღეს საპატიო სტუმრებად ესწრებოდნენ ახალგაზრდობის დღი-სადმი მიძღვნილ ქართულ ჭიდაობას თბილისის პირად-გუნდურ პირველო-ბაზე.

საპატიო სტუმრების სახელით, რო-მლებსაც ბავშვებმა თაიგულები გა-დასცეს, მაყურებლებს გულთბილი მიღებისათვის მადლობა გადაუხადა სანდრო კანდელაკმა, რის შემდეგ სა-ქართველოს ალკკ თბილისის კომი-ტეტის მდივანმა ამხ. დ. დათუაშვილ-მა შეჯიბრება გახსნილად გამოაცხადა.

პირველ წრეში (შეჯიბრება ჩატარ-და სამ წრედ) სასიამოვნო სიურპრი-ზით აღინიშნა საშუალო წონის მოჭი-დავეების—საქართველოს 1957 წლის ჩემპიონის მუხიაშვილისა და სულა-შვილის შეხვედრა. ამ უკანასკნელმა თავიდანვე შებოჭა მოწინააღმდეგე და უკვე 1 წუთსა და 15 წამის შემდეგ ჩემპიონი ბეჭებით შეეხო ხალიჩას.

ვინაიდან მძიმე წონის მოჭიდა-ვეებიდან მხოლოდ ორი — ვარდო-შვილი და ბრეგვაძე გამოდიოდნენ, მათი შეხვედრა მესამე ტურის ბო-ლოს შედგა და პირველის გამარჯვე-ბით დამთავრდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულნი შემდეგნაირად გადა-ნაწილდნენ: უმჩატესი წონა — ჩ. ქუც-ნიაშვილი (გარეუბანი), მჩატე — ო. ქაცანაშვილი (სტალინის რაიონი), ქვე-მსუბუქი—მ ელერდაშვილი (სტალინ-ის რაიონი), მსუბუქი — რ. სესია-შვილი (ორჯონიკიძის რაიონი), ქვე-საშუალო—რ. მამაცაშვილი (სტალინ-ის რაიონი), საშუალო — ს. სულა-შვილი (ლენინის რაიონი), ქვემძიმე— ა. კიკნაძე (სტალინის რაიონი), მძიმე — ა. ვარდოშვილი (ორჯონიკიძის რაიონი).

გუნდურ ჩათვლაში 14 საჯარიმო ქულით პირველი ადგილი და თბილი-სის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი თასი მოი-პოვეს სტალინის სახელობის რაიო-ნის მოჭიდავეებმა.

**გ. სამსონაძე**

სურათზე: ზევით — შეჯიბ-რების ერთი მომენტი. ქვევით — სანდრო კანდელაკი (მარჯვნიდან პირველი) სიტყვით მიმართავს დამ-სწრე საზოგადოებას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## საბჭოთა მოჭიდავეების გამარჯვება

**სოფია**, 23 ივნისი. (საქდესი). გუშინ აქ დამთავრდა შეჯიბ-რება მსოფლიოს თასზე თავისუფალ ჭიდაობაში. დიდ წარ-მატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მიუხედავად იმი-სა, რომ სსრ კავშირის გუნდს ფაქტიურად არასრული შემად-გენლობით მოუხდა გამოსვლა (პირველსავე შეხვედრაში და-ზიანდა და შემდგომ შეჯიბრებებს გამოაკლდა საბჭოთა მო-ჭიდავე ბალავაძე), გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. მან 38 ქულა მოაგროვა და 3,5 ქულით გაუსწრო თურქეთის გუნდს— მსოფლიოს თასის წინანდელ მფლობელს. მესამე ადგილი დაიკავა ბულგარეთის გუნდმა — 30 ქულა.

ოთხმა საბჭოთა მოჭიდავემ დაიკავა პირველი ადგილები: საიადოვმა — უმჩატეს წონაში, მუშეღიანმა — ქვემსუბუქ წონაში, სინიავსკიმ — მსუბუქ წონასა და ალბულმა — ქვე-მძიმე წონაში. თურქ სპორტსმენთაგან გამარჯვება მოიპოვეს: აკბასმა — მჩატე წონაში, ოგანმა — ქვესაშუალო და გიუნ-გიურმა — საშუალო წონაში. მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა ახალგაზრდა ბულგარელი სპორტსმენი აჰმედოვი.

## რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული ფესტივალი

# ლ. ანთაძე — „ქორქიენ პრიმა“



მაისის ბოლო რიცხვებიდან მოსკოვში შეიკრიბნენ და ერთობლივი წვრთნა დაიწყეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა რკინიგზელმა მძლეოსნებმა. ამჯერად მათი საასპარეზო მიზანი იყო ბელგია „ჰეიზელის“ სტადიონი ბრიუსელში. 10 ივნისიდან აქ იხსნებოდა ევროპის 14 ქვეყნის რკინიგზელ-სპორტსმენთა საერთაშორისო ფესტივალი. საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა წევრების შემადგენლობაში საქართველოდან შედიოდა სპრინტერი ლ. ანთაძე

...ბელგიის დედაქალაქის აეროდრომზე საბჭოთა კავშირის სპორტულ დელეგაციას დახვდნენ მასპინძლები და საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები. ჩვენი სპორტსმენები პირველივე დღიდან გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში აღმოჩნდნენ. ეს იყო 10 ივნისს მძლეოსანთა ასპარეზობა კი 12-ში იწყებოდა. რჩებოდა ერთადერთი საწვრთნელი დღე.

და აი, მაყურებლებით სავსე „ჰეიზელის“ სტადიონის ტრიბუნებიც. ბელგიელ და ფრანგ რკინიგზელ ფეხბურთელთა მატჩის შემდეგ, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა, სტარტი ეძლევა მძლეოსანთა პირველ გამოსვლას. ჩვეულებისამებრ, იგი 100 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრებით იწყება და ამიტომ საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსების დაცვაც პირველად ქართველ სპორტსმენს — ლ. ანთაძეს ეკისრება.

ანთაძე სტარტს იღებდა მესამე გარბენში. მის ფრანგ, შვეიცარელ, გერმანელ, ბელგიელ და ბულგარელ მეტოქეთა შორის იყო აგრეთვე რკინიგზელთა საერთაშორისო რეკორდის მფლობელი — ბელგიელი რასტაერტი, რომლის შედეგიც (10,9 წამი) უკვე სამი წელია „ხელშეუხებლად“ დგას მსოფლიოს რკინიგზელ-სპორტსმენთა მიღწევების ცხრილში. ლ. ანთაძემ თავის სამშობლოში ამას წინათ ბრწყინვალე შედეგი აჩვენა ამ დისტანციაზე — 10,4, მაგრამ რა იქნება ახლა, უცხო ქვეყანაში, „ჰეიზელის“ სარბენ ბილიკზე, რომელიც რბილი გრუნტის გამო მეტად მოუხერხებელი და ტექნიკურად დაბალხარისხოვანია?!

მესტარტის გასროლა!.. ექვსი სპორტსმენი მოწყდა სტარტს და წინ გაემართა. მათ შორის თავიდანვე დაწინაურდა წითელმაისურიანი მორბენალი. ეს ლ. ანთაძეა. მასა და მეტოქეებს შორის მანძილი სულ უფრო იზრდებოდა და ბოლოს იმდენად საგრძნობი გახდა, რომ ფინიშს მიახლოვებულმა ლ. ანთაძემ უკან მოხედვაც მოასწრო მეტოქეთა დასაზვერად, რამაც მოწონების მხიარული ხმაური გამოიწვია ტრიბუნებზე. წინასწარი გარბენი მოგებულ იქნა შედეგით 10,9. გამეორებულია რასტაერტის საერთაშორისო რეკორდი. მაყურებელი მხურვალე ტაშით შეეგება ამ ცნობას.

მძლეოსანთა ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე სხვა საბჭოთა მორბენლებმა — ტრუშჩენკომ, კოსტიკოვმა, სოკოლოვმა, პოპოვმა, მხტომელებმა — დენისენკომ, ვასილენკომ, მტყორცნელებმა — ტურმა, ვალეშკომ და შაბლენკომ.

წინასწარ შეხვედრებში ლ. ანთაძეს კიდევ ერთხელ მოუხდა გამოსვლა. ეს იყო ესტაფეტა 100+200+300+400 მეტრზე, რომელშიც ქართველ სპორტსმენზე 200-მეტრიანი დისტანცია იყო „გაპიროვნებული“. საბჭოთა გუნდმა ადვილად მოიგო ეს გარბენი და ფინალში გავიდა.

მაგრამ ფინალური შეხვედრები ასეთ იოლ გამარჯვებას აღარ უქადდა საბჭოთა სპორტსმენებს, კერძოდ, კი ლ. ანთაძეს, თუნდაც იმიტომ, რომ ფინალი იწყებოდა შესარჩევი შეჯიბრების დამთავრების დღესვე, სულ ორიოდე საათში, ამასთან, მასში თავი მოიყარეს უძლიერესებმა, რომლებმაც ასეთივე გამარჯვებები მოიპოვეს წინასწარ გარბენებში.

დღის ორი საათია. „ჰეიზელის“ სტადიონის ტრიბუნები ხალხითაა გაჭედილი. ლოჟებში სხედან ბელგიის მთავრობის, საბჭოთა და უცხო ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლები. 100-მეტრიანი დისტანციის სტარტზე გამოიძახეს რასტაერტი, ლ. ანთაძე, პოლონელი, შვეიცარელი, ფრანგი და ინგლისელი სპრინტერები.

გასროლა!... ქართველმა სპორტსმენმა ცუდად აიღო სტარტი და პირველივე მეტრებზე მის წინ გავიდნენ პოლონელი და შვეიცარელი მორბენლები, ხოლო რასტაერტი მხარდამხარ მისდევდა მათ. ტრიბუნებზე გუგუნი იდგა. რბენის მოგება ასეთ ვითარებაში უაღრესად ძნელი იყო, მაგრამ ანთაძემ ჩართო მაქსიმალური სისწრაფე და მე-80 მეტრზე მძლავრი ბიძგით გაიჭრა წინ. მან პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი რკინიგზელთა საერთაშორისო რეკორდით—10,7 წამი! ქართველ სპორტსმენთან პირველად რასტაერტმა მიირბინა, მაგრამ შეანჯღრია, ხელი ჩამოართვა და ცერის აწევით საზეიმოდ განუცხადა: „ქორქიენ-პრიმა!“. წამში ლ. ანთაძე მიმლოცველთა მრავალ ენაზე ახმაურებულ გარემოცვაში აღმოჩნდა. მაგრამ მსაჯებმა „იხსნეს“ იგი და მეორე-მესამე ადგილებზე გამოსულ სპრინტერებთან ერთად გაიხმეს მთავრობის ლოჟასთან, სადაც ბელგიის დედოფლის წარმომადგენელმა ოქროს მედალი და პრიზი—ბროლის თასი გადასცა მას. ეს იყო საბჭოთა გუნდის მიერ მოპოვებული პირველი ოქროს მედალი!

რასტაერტის აღტაცების გამომხატველი სიტყვები მალე ლ. ანთაძის ზედმეტ სახელად იქცა და საათნახევრის შემდეგ, როცა ესტაფეტის ფინალური შეხვედრა დაიწყო, მას უკვე ბევრი მაყურებელი იმეორებდა ტრიბუნაზე, ხოლო მეორე დღეს კი — ბრიუსელის რამდენიმე გაზეთიც. ამ საათნახევარში სტადიონის მძლეოსნურ სექტორებზე დაძაბული სპორტული ბრძოლები მიმდინარეობდა: 200 მეტრზე რბენაში თავის გუნდს მეორე ოქროს მედალი მისცა ტრუშჩენკომ (22,2 წამი). 400 მეტრზე კვლავ საბჭოთა სპორტსმენმა — კოსტიკოვმა გაიმარჯვა — 51,0. 1500 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი იყო ბელგიელი ვერჰოიენი, რომლის შედეგი — 3.54,2 აგრეთვე რკინიგზელთა ახალი რეკორდია. სტაიერებს შორის 5.000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა პოპოვმა — 14.32,4. თარჯრბენში, 110 მეტრზე და სიმაღლეზე ხტომაში საუკეთესონი იყვნენ პოლონელები კრუშინსკი (15,7) და პოტოცკი (1 მ 84 სმ). ჭოკით ხტომაში, სამხტომში, ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში წინ იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები დენისენკო (4 მ), ვასილენკო (14 მ 48 სმ), ვალეშკო (50 მ 09 სმ) და შაბლენკო (16 მ 46 სმ).

... ლ. ანთაძე კვლავ დისტანციაზეა! დაიწყო მძლეოსანთა პროგრამის ბოლო შეჯიბრება — ესტაფეტა 100+200+300+400. პირველი ეტაპი უიღბლო გამოდგა საბჭოთა გუნდისათვის: ა. სოკოლოვმა ცუდად აიღო სტარტი და მხოლოდ მეხუთემ გადასცა იგი 200 მეტრზე მორბენალ ლ. ანთაძეს. ლერი თავგანწირვით მირბის და ტრიბუნებიდანაც სულ უფრო ძლიერდება სკანდირებული ძახილი: „ქორქიენ-პრიმა, ქორქიენ-პრიმა...“. ქართველი სპორტსმენი გაშმაგებულ ტემპში ჯერ უთანასწორდება დაწინაურებულ პოლონელს, შემდეგ წინ გადის და 300-მეტრიანი ეტაპის დასაწყისში მყოფ რ. ტრუშჩენკოს 5-6 მეტრის მოგებით აწვდის ესტაფეტას. საბჭოთა გუნდმა რბენა მოიგო შედეგით — 1 წუთი 59,8 წამი და ლ. ანთაძე მისი თაყვანისმცემლის მკლავებში აღმოჩნდა: ეს საფრანგეთის რკინიგზელთა ზანგი ფეხბურთელი იყო, რომელიც ტრიბუნიდან გადმოხტა, ქართველ სპორტსმენთან მიირბინა, გადაეხვია, შემდეგ რამდენიმეჯერ შეანჯღრია და ისევ გადაკოცნა. მას სხვებმაც მიბაძეს და ბოლოს, ლერი ფრანგ, ბელგიელ და შვეიცარელ სპორტსმენთა შორის ჩაჯდა ტრიბუნაზე მათივე თხოვნით. მეგობრული საუბარი მსაჯების გამოძახებამ შეწყვიტა. ლ. ანთაძე თანაგუნდელებთან ერთად კვლავ მთავრობის ლოჟის წინაშე წარსდგა, სადაც მათ გადაეცათ საბჭოთა გუნდის მიერ მოპოვებული, რიგით მეთორმეტე ოქროს მედალი.

კიდევ ერთხელ მოუწია ქართველ სპორტსმენს გამარჯვებულის საზეიმო ხაზზე გამოსვლამ: საერთაშორისო წესების მიხედვით მან ყველა მძლეოსანზე მეტი ქულები მოაგროვა, რისთვისაც სპეციალური პრიზი მიიღო — ბროლისაგან გაკეთებული დაფნის გვირგვინი და თასი.

საბჭოთა რკინიგზელებმა წარმატებით დაამთავრეს თავიანთი საერთაშორისო შეხვედრები მძლეოსნობაში და 12 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

სამშობლოში დაბრუნებამდე მძლეოსნებმა დაათვალიერეს ბრიუსელის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მსოფლიო გამოფენაზე, სადაც ინახულეს საბჭოთა კავშირის, აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის პავილიონები. შემდეგ ბელგიის სატელევიზო კომპანიის მიწვევით ისინი ესტუმრნენ ტელეცენტრს და მონაწილეობა მიიღეს სპორტულ გადაცემაში.

15 მაისს, დილით, სტარტი მიეცა უკვე... ბელგიის ავიაკომპანიის თვითმფრინავს, რომელსაც კურსი ჩეხოსლოვაკიისაკენ ეჭირა, ხოლო აქედან კი სახელგანთქმული „ტუ-104“-ით — მშობლიური ქვეყნის სივრცეებისაკენ.

**შ. ჯულელი**

* * *

სურათზე: ლ. ანთაძე.

---

თბილისში მოეწყო „შრომის... ტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. შეჯიბრება ... სპორტის ოსტატ... ჯ... მორიგი გამარჯვებით, ... 54,6 ქულა. ჩემპიონს მცირე განსხვავებით ჩამორჩნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ი. ადაშკოვა და ა. ტუვაევა.

პირველ თანრიგში გაიმარჯვა მ. ანდრონიკაშვილმა, მეორე თანრიგში — უ. კარნაუხმა.



---

# „სპარტაკიადების წელი“

## კომპლექსში დაბალი შედეგით

გორში ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სპორტსმენთა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 23 გუნდი. პირად ჩათვლაში ყველაზე კარგი შედეგები აჩვენეს სოხუმელებმა მ. გოგოლაძემ, მ. დემელიამ და ბაკურციხელმა გ. არაბულმა, რომლებმაც შესაბამისად მოიპოვეს საპრიზო ადგილები. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა სოხუმის კოლექტივი. ზუგდიდისა და ბაკურციხის ტექნიკუმების სპორტსმენებმა დაიკავეს მომდევნო ადგილები.

აღსანიშნავია, რომ სამივე მდგომარეობიდან სროლის კომპლექსში ვერც ერთმა მონაწილემ ვერ აჩვენა სათანრიგო ნორმატივი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტექნიკუმების ფიზკულტურული კოლექტივები ერთნაირად არ ზრუნავენ თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებისათვის როგორც წოლილა, ისე ჩოქილა და დგომელა მდგომარეობიდან.

**გ. როინიშვილი**

## 30-დან 8 ტექნიკუმი მონაწილეობდა

საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე ამ დღეებში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ველოსიპედისტთა შეჯიბრება „კოლმეურნის“ სპარტაკიადის პროგრამით. მონაწილეობდნენ სოხუმის, აბაშის, ლაგოდეხის, ქულაშის, დიდი-ჯიხაიშისა და სხვა გუნდები. პროგრამაში იყო გუნდური რბოლა ვაჟთათვის 100 კილომეტრზე, ქალთათვის — 25 კილომეტრზე, საერთო სტარტი — ვაჟებისათვის 150 და ქალებისათვის 25 კილომეტრზე და კროსი — ვაჟებისათვის 30 და ქალებისათვის — 10 კილომეტრი. მაგრამ იმის გამო, რომ გუნდებს არ აღმოაჩნდათ ველოსიპედები კროსისათვის, ეს სახეობა პროგრამიდან ამოღებულ იქნა. და ეს მაშინ, როცა ტექნიკუმების უმეტესობას ველოსიპედები საწყობში აქვს გამოკეტილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის 30 ტექნიკუმიდან შეჯიბრებაზე გამოვიდა მხოლოდ 8. ლანჩხუთის (დირექტორი ს. ლომთაძე), ამბროლაურის (დირექტორი ვ. ჰელიძე), ცხაკაიას (დირექტორი ლ. შაფათავა), ახალციხის (დირექტორი ტ. ბეგიშვილი), ბათუმის (დირექტორი ნ. ნიჟარაძე), ზესტაფონის (დირექტორი ვ. ჯაფარიძე) და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებმა ვერ შეძლეს გუნდების გამოყვანა.

შეჯიბრებაში საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს სოხუმის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა, რომლებიც დაკომპლექტებული არიან პირველთანრიგოსნებით, მაგრამ ამ შეჯიბრებაზე მათ მხოლოდ მესამე თანრიგის შედეგი აჩვენეს. სხვა მონაწილე გუნდებიდან სათანრიგო ნორმატივს ჩვენება საერთოდ ვერავინ შეძლო. ყველა ზემოღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების დირექციები არასათანადო ყურადღებას აქცევენ ამ სახეობის განვითარებას.

**ვ. გოგრიჭიანი**

## კარგი დასაწყისი

დამთავრდა თბილისის „კოლმეურნეს“ გარეუბნის რაისაბჭოს პირველი სპარტაკიადა ქალაქის ტერიტორიაზე მყოფი კოლექტივებისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: „საქსახინწყალპროექტის“, „საქსახინსოფელექტროს“, საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და სხვათა კოლექტივები, სპარტაკიადაში მონაწილეობას თავი აარიდეს ჰიდროტექნიკის, მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ცეკავშირის უნივერსალური ბაზის, № 1 და № 6 წისქვილკომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა. ფრენბურთელთა შეხვედრებში, რომლებიც „განთიადის“ ბაზებზე გაიმართა დაუმარცხებლად პირველი ადგილი მოიპოვეს „საქსახინწყალპროექტის“ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა. აღსანიშნავია, რომ ამ სახეობაში სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გუნდებმა პირველი დამარცხების შემდეგ უარი განაცხადეს შეხვედრების გაგრძელებაზე.

ტყვიით სროლაში, რომელიც სტალინის სახელობის რაიონის დოსააფის ტირში გაიმართა, 437 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა „საქსახინწყალპროექტის“ გუნდი. აქაური სპორტსმენები უძლიერესნი აღმოჩნდნენ აგრეთვე მაგიდის ჩოგბურთელთა და მოჭადრაკეთა შეხვედრებში, მათვე ხვდათ საერთო გუნდური პირველი ადგილიც. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მეცხოველეობის და ვეტერინარის სამეცნიერო-კვლევითი, ხოლო მესამეზე — „საქსახინსოფლელექტროს“ სპორტსმენები.

**ი. ჩხარტიშვილი**

## „განთიადის“ ბაზებზე

ბათუმში, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ბაზებზე დამთავრდა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტში შემავალი ფიზკულტურის კოლექტივების პირველი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კლასიკური ჭიდაობა, ჭადრაკი, შაში და ტყვიით სროლა. მონაწილეობდნენ აჭარკოოპკავშირის, „ბათუმვაჭრობის“, მოდების ატელიეს, სასადილოების ტრესტისა და საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ნაკრები გუნდები.

ფრენბურთში, ჭადრაკში და შაშში გაიმარჯვეს საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის სპორტსმენებმა. ტყვიით სროლაში პირველები იყვნენ სასადილოების ტრესტის მსროლელები.

სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა „ბათუმვაჭრობის“ კოლექტივი, ხოლო მესამეზე — სასადილოების ტრესტის გუნდი.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულ გუნდს გადაეცა გარდამავალი თასი და სიგელი.

**შ. მამინაშვილი**

# თასი თბილისელებმა მოიგეს

## საქართველოს პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში

მეტად საინტერესო პროგრამა ჰქონდათ ცხენოსნებს ჩემპიონატის ბოლო დღეს. სამჭიდი ახალგაზრდა ცხენებისათვის დამთავრდა დაბრკოლებათა გადალახვით. პირველ სამ ადგილზე გამოვიდნენ თბილისელი ცხენოსნები ა. დგებუაძე, ა. ბარანოვსკი და ვ. ოძელაშვილი. გუნდურ ჩათვლაში მათ თავიანთ კოლექტივს მოუტანეს პირველი ადგილი და მნიშვნელოვნად გაუსწრეს ზუგდიდელებს.

სტარტი მიეცა დაბრკოლებებიან დოღს 4000 მეტრზე. დასაწყისში მხედრები თავს უჭერდნენ ცხენებს, მაგრამ დაახლოებით 500 მეტრის შემდეგ საგრძნობლად დაწინაურდა თბილისელი გაშიბაიაზოვის „ხინგანა". მეორე წრის დასასრულს ცხენოსნები შეჯგუფდნენ და ასე მიაგელვებდნენ კარგა ხანს თავიანთ ცხენებს. ბოლო წრეზე ა. მოხერმა (აფხაზეთი) მთელი სისწრაფით მიუშვა თავისი ცხენი ისეთ მომენტში, როცა მოწინააღმდეგეები ამას სრულიადაც არ მოელოდნენ და სულ უფრო შორს ცილდებოდა მათ. ფინიშთან მოხერი პირველი იყო თითქმის ყოველგვარი კონკურენციის გარეშე, ვინაიდან „ხინგანა" სულ უფრო ამძიმებდა და ანელებდა თავის ნაბიჯს.

როცა გამარჯვებული დასაჯილდოებლად გამოიძახეს, მაყურებლებს თვალი მოსტაცა ცხენის სილამაზემ. ეს იყო განთქმული „პატეფონი", რომელსაც თავის დროზე არ წაუგია თითქმის არც ერთი შეჯიბრება. და აი 11 წლის ბებერმა, მაგრამ ძველებურად შესანიშნავმა ცხენმა კვლავ შეძლო პირველი ადგილის დაკავება ჩემპიონატში.

დაიწყო ფინალური შეჯიბრება უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში. მასში მონაწილეობდნენ თბილისელები ი. გირუნი (ცხენი „ელოლლი") და ვ. ოძელაშვილი (ცხენი „ტურისტი"), ზუგდიდელი დ. კანკია (ცხენი „ბარსი") და გუდაუთელი ნ. არძინბა (ცხენი „სალამი").

ხტომათა პირველ სერიას ყოველი მხედარი ასრულებს თავის ცხენზე. შემდგომში ისინი ერთმანეთს შორის იცვლიან ცხენებს ისე, რომ ყოველ მომდევნო გიტში დაბრკოლებები გაიარონ ყველა მოწინააღმდეგის ცხენზე და საბოლოო შედეგები ფასდება ოთხივე გიტის შედეგად.

პირველ გიტში, როცა ცხენოსნები საკუთარ ცხენებზე ისხდნენ, ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ზოლის გავლა სუფთად, თანაც არძინბა ბოლო წინაღობაზე გადმოვარდა ცხენიდან და „სალამმა" ფინიშის ნაცვლად თავლისაკენ აიღო გეზი.

ახალ ცხენთან გაცნობისათვის მხედარს ეძლევა 3 წუთი და ერთი საცდელი ნახტომი შლაგბაუმზე. როცა ეს „ნაცნობობა" შედგა, სპორტსმენები კვლავ შეუდგნენ ჩათვლით ხტომებს.

21 საჯარიმო ქულა „აჩუქა" კანკიას „ტურისტმა", გირუნმა კი 9 საჯარიმო ქულა მიიღო „ბარსზე". კარგად განვლო ზოლი ოძელაშვილმა „სალამზე" (სულ 4 ქულა), ხოლო არძინბას „ელოლლიზე" არ დაურღვევია არც ერთი დაბრკოლება.

ასევე სუფთად გაიარა მესამე გიტი კანკიამ „სალამით" და კვლავ არძინბამ ამჯერად „ბარსზე". ოძელაშვილს „ელოლლზე" ჰქონდა 4 საჯარიმო ქულა, ხოლო „ტურისტი" უკანასკნელ მოსახვევში მოულოდნელად გაფიცხდა, გაჯიუტდა და გავიდა ზოლიდან.

ბოლო გიტში ერთხელ კიდევ გამოისყიდა შეჯიბრების დასაწყისში ჩადენილი „დანაშაული" „სალამმა" და გირუნი სუფთად მიიყვანა ფინიშთან, მაშინ, როცა „ტურისტმა" ორი დაბრკოლება დაარღვია, ხოლო „ელოლლიმ" და „ბარსმა" — თითო.

საბოლოოდ უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა ვ. ოძელაშვილმა — 16 საჯარიმო ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ დ. კანკია — 29,5 ქულა და ნ. არძინბა — 39,25 ქულა.

8-კილომეტრიან მარულას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე ჯგუფის გუნდებისათვის, ვინაიდან აქ წყდებოდა მათ შორის ადგილების განაწილების საკითხი.

მარულის დასაწყისში თბილისელმა მაიტარჯიანმა მთელი ძალით გარეკა თავისი „იზბრანიკი" და უკვე მესამე წრისათვის „იზბრანიკს" სრულიად აღარა ჰქონდა ძალა. რბოლას სათავეში ჩაუდგა ფოთელი ტოტიკოვის „გენაცვალე" და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობდა კიდეც, მაგრამ მეხუთე წრეზე „გენაცვალეს" წამოეწიენ სხვებიც და მეექვსე წრის შემდეგ წინ გაიჭრა ფოთელი მხედარი მელია (ცხენი „სამუში").

გასავლელი დარჩა ბოლო წრე. „სამუშის" გამარჯვება თითქოს იჭვს არ იწვევდა, მაგრამ ქუთაისელ ეკტოკს შემოუნახავს თავისი „გასართობის" ძალები და უკანასკნელ სწორზე „გასართობმა" ძლიერი ბიძგით გაასწრო „სამუშს". პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისელმა.

... 1950 წელს მხედარმა ქალმა ნატალია როგემ სიმაღლეზე ცხენით ხტომაში დაძლია 180 სმ და ეს შედეგი წლების განმავლობაში მტკიცედ იჯდა რესპუბლიკური რეკორდების სიაში. ვერც ერთმა ვაჟმა ცხენოსანმა ვერ შეძლო ქალის მიერ დამყარებული რეკორდის გაუმჯობესება.

და აი 21 ივნისს ვ. ოძელაშვილმა, როგორც იქნა, აღადგინა ვაჟების სპორტული პრესტიჟი. იპოდრომის ცენტრალური ტრიბუნების წინ მოწყობილი იყო დაბრკოლება სარეკორდო ხტომისათვის. პირველი (საკონტროლო) სიმაღლე — 160 სმ და მეორეც — 175 სმ აღებულ იქნა სულ იოლად. ოძელაშვილს ნაბიჯით მიჰყავდა „ზიუიდი" სიმაღლესთან. მცირე ხანს გააჩერებდა მასთან შესაჩვევად, მერე ბრუნდებოდა სტარტზე და სრული გამოქანებით ასრულებდა ხტომას. მომცრო ტანის „ზიუიდი" საოცარი სიმსუბუქითა და სითამამით გადადიოდა სიმაღლეზე.

ასეთი ლამაზი ნახტომით დაძლია „ზიუიდმა" მომდევნო ორი სარეკორდო სიმაღლე ჯერ 182 და მერე 187 სანტიმეტრი. ახალი რეკორდის მფლობელი გახდა თბილისელი ვ. ოძელაშვილი.

შეჯიბრება დამთავრდა. პირველი ჯგუფის გუნდებს შორის ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: თბილისი I, აფხაზეთი, ზუგდიდი. მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ფოთელებმა. მომდევნო ადგილებზე არიან თბილისი II და ქუთაისის გუნდები.

**რ. ქორიძე**

## მონაწილეობს ოთხი გუნდი

გასულ კვირას „ბურევესტნიკის" სტადიონზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის (პირველი) და „განთიადის" (კიროვის სახელობის ქარხანა) გუნდების შეხვედრით დაიწყო ქალაქის პირველობა ხელბურთში. მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა სტუდენტთა მხარეს იყო, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 13:4.

მეორე დღეს განთიადელებმა რევანში აიღეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე გუნდთან შეხვედრაში და დაამარცხეს იგი ანგარიშით 6:5.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტადიონზე შედგა მატჩი ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „განთიადის" ხელბურთელთა შორის. პირველი ნახევარი აღინიშნა სტუდენტთა აშკარა უპირატესობით და დამთავრდა ანგარიშით 6:0. მეორე ნახევარში განთიადელებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს თამაში, მაგრამ მაინც განიცადეს დამარცხება — 5:7.

მეოთხე კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მეორე) გუნდები. გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა — 13:2.

**ფ. ქართველიშვილი**

## არმიელებმა უკეთ უნდა ითამაშონ

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 22 ივნისი.

სკვო (თბილისი) — „თერგი" (გროზნო) — 2:3 (0:1).

სკვო: ვ. ივანოვი; ჭანჭალეიშვილი, გაიხარაშვილი, კვირკველია, მირონოვი, ხელაძე; მიქაძე, ნორაკიძე (ა. ივანოვი), გორეშნევი, კურტანიძე, ქვლივიძე.

„თერგი": პეტუხოვი; ე. დანილოვი, ლიუცფაი, კაიუშნიკოვი; ვლასოვი, ჟერდევი; ბატაშჩოვი, ვ. დანილოვი, სერედნიაკოვი, დიაჩენკო, პიხმენი.

მსაჯი ა. ცაპოვეცკი (კიევი).

დასაწყისიდან კარგა ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა საერთო ინიციატივის მოსაპოვებლად, რაშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ორივე გუნდის მთელი ძალები. თბილისელები ცდილობდნენ ამ მიზნისათვის მიეღწიათ კომბინაციური, გაშლილი თამაშით, რასაც სტუმრებმა დაუპირისპირეს უაღრესად ენერგიული მოქმედება ყოველი მოთამაშის მაქსიმალური დატვირთვით.

დაახლოებით 20 წუთის შემდეგ არმიელებმა თითქოს შეძლეს თამაშის დალაგება. თავდასხმაში გათამაშ- და რამდენიმე კარგი კომბინაცია, ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდათ მიქაძეს, კურტანიძეს. სულ მცირე მანძილით აცდა კარს ქვლივიძის დარტყმა შორი მანძილიდან.

მაგრამ გროზნელებმა თავიანთი სწრაფი, თავდაუზოგავი თამაშით რეალურ უპირატესობას მიაღწიეს და ბოლო 15 წუთის განმავლობაში დაუღალავად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. ამ დღეს ერთობ სუსტად ითამაშეს სკვო-ს მცველებმა, რაც „თერგის" თავდამსხმელებს საშუალებას აძლევდა შეტევა ზედ კარის სიახლოვეს ეწარმოებინათ. ერთ-ერთი ამ შეტევისას ბატაშჩოვი იოლად გავიდა კვირკველიასთან და ზუსტად გადააწოდა ბურთი მარცხენა მხარეს, სადაც ღიად დარჩენილი აღმოჩნდა პიხმენი — 1:0.

მეორე ტაიმში ნორაკიძის ნაცვლად მინდორზე გამოვიდა ა. ივანოვი და, უნდა ითქვას, რომ ამ ოპერაციას ზიანის მეტი არაფერი მოუტანია გუნდისათვის. მართალია, ხელაძემ მე-20 წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ თამაში ძირითადად სტუმრებისა იყო. ვერაფერი გააწყო სერედნიაკოვთან ბრძოლაში გაიხარაშვილმა და „თერგის" ცენტრალური თავდამსხმელი ზედიზედ გადიოდა არმიელთა კარის წინ უაღრესად სახიფათო სიტუაციაში. ანალოგიური ამბები ხდებოდა ფლანგებზეც.

39-ე წუთზე ხელაძე და ა. ივანოვი მინდვრის შუაგულში შეეჯახნენ ერთმანეთს და სანამ არკვევდნენ, თუ ვინ იყო დამნაშავე ამ „ავარიაში", ვ. დანილოვი გავიდა წინ, გადასცა ბურთი სერედნიაკოვს, რომელმაც არ დააყოვნა მისი კარში გაგზავნა — 2:1.

უკვე გონგის შემდეგ სერედნიაკოვის მორიგი რეიდი სკვო-ს მცველებს შორის დამთავრდა იმით, რომ მის მიერ მარცხნივ მოწოდებულ ბურთს გაიხარაშვილმა მისამართი შეუცვალა... საკუთარი კარისაკენ — 3:1.

მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე გორეშნევმა თავით გადასცა ბურთი ქვლივიძეს და ანგარიში გახდა 2:3. თამაში მოიგო „თერგმა".

* * *

**ქუთაისი. 22 ივნისი.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი" (ქუთაისი) — „ტემპი" (მახაჩყალა).

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:0.

* * *

**ე რ ე ვ ა ნ ი. 22 ივნისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).** სომხეთის დედაქალაქში უდიდესი ინტერესი გამოიწვია კალენდარულმა მატჩმა ფეხბურთში ერევნის „სპარტაკსა" და თბილისის „ბურევესტნიკს" შორის.

მატჩი მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბულ, მწვავე ბრძოლაში. დიდი აღმავლობითა და მონდომებით თამაშობდნენ თბილისელები, რომელთა ერთ-ერთი შეტევა პირველ ტაიმში გოლით დაამთავრა ურთქმელიძემ.

ერევნელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, ისიც მოსკოველი მსაჯის პოდგორნის მიერ დანიშნული მეტად საეჭვო პენალტის შემდეგ (ბურთი გაიტანა გალოიანმა).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.



**ს უ რ ა თ ზ ე:** „თერგის" ცენტრალური თავდამსხმელი სერედნიაკოვი ერთხელ კიდევ გავიდა თბილისელთა მცველებს შორის და მეკარესთან პირისპირ დარჩა. გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ „ნაღდი" ბურთი აცდა კარს. სერედნიაკოვს არაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ თმებში ეტაცა ხელები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



### I ზონა

რუსთავის „მეტალურგმა" თავის მინდორზე მიიღო სოხუმის „დინამო". მატჩში გატანილ იქნა ერთადერთი ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „დინამოელებს" — 1:0.

თბილისში თამაშობდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდები. თამაში მიმდინარეობდა ტრამვაელთა უპირატესობით და დამთავრდა მათი გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

ფრედ — 1:1 დამთავრდა თამაში ქობულეთში ადგილობრივ „კოლმეურნესა" და სტალინირის „სპარტაკს" შორის.

### II ზონა

ლანჩხუთის „კოლმეურნეს" თავისი მორიგი მატჩი ჰქონდა ზუგდიდში ადგილობრივი „ოდიშის" წინააღმდეგ. საკმაოდ უფერული თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

საინტერესო გამოდგა შეხვედრა ქუთაისში ადგილობრივ „ტორპედოსა" და ჭიათურის „მაღაროელს" შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ტორპედოელებმა.

სამტრედიის „ლოკომოტივს" თამაში ჰქონდა ფოთში. მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

„მშრალი" ანგარიშით — 4:0 მოუგო რუსთავის „სხივმა" თავის მინდორზე თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდს.

**მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი. I ზონა.** წულუკიძე-სას. სამ. ტექნიკუმი (დიდი ჯიხაიში) — 2:2, „ცისკარი" (ბათუმი)-„განთიადი" (წყალტუბო) — 0:0, ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)-„სპარტაკი" (საჩხერე) — 3:1.

**II ზონა.** „სპარტაკი" (ცხაკაია)-„კოლხიდა" (ხობი) — 3:1, „კოლმეურნე" (გაგრა)-„კოლმეურნე" (გალი) — 4:2.

**III ზონა.** „კოლმეურნე" (ბოლნისი)-ახ. საფეხბ. სკოლა II (თბილისი) — 2:1, ადგილ. მრეწვ. სამმართველო (თბილისი)-„ლოკომოტივი" (ხაშური) — 8:1, „კოლმეურნე" (გურჯაანი)-„ჩანჩქერი" (ბორჯომი)—4:1, „ტორპედო" (თბილისი)-ორთქლ. ვაგონშემკ. ქარხ. (თბილისი) — 3:3.

**IV ზონა.** „კოლმეურნე" (ქარელი)-სკვო I (თბილისი) — 0:5, შახტი № 1 (ახალციხე)-„ლოკომოტივი" (გურჯაანი) — 3:1.

**მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ი. I ზონა.** სადნალი-„შრ. რეზერვები" (თბილისი)— 1:2, კასპი-„განთიადი" (ახმეტა) — 6:1, „არაგვი" (მცხეთა)-„ჩანჩქერი" (ლაგოდეხი) — 1:4, კაჰრეთი-„კოლმეურნე" (გარდაბანი) — 0:3, „კოლმეურნე" (ქისტაური)-ველისციხე — 3:1.

**II ზონა.** „მოტორი" (ახალციხე)-„კოლმეურნე" (წალკა) — 5:0, „კოლმეურნე" (დმანისი)-თეთრი წყარო— 0:5, „არაგვი" (დუშეთი)-ასპინძა — 7:1, ახალქალაქი-ბოგდანოვკა — 5:1, მარნეული-მტს-ი (ადიგენი) — 1:1.

**III ზონა.** საბჭ. მეურნეობა (ჩაქვი)-„ვოდნიკი" (ფოთი) — 4:2, „კოლმეურნე" (ხობი)-„კოლმეურნე" (ცხაკაია) — 2:3, შემოქმედი-„ბუმაჟნიკი" (ზუგდიდი) — 0:1, ლაითური-„თაიგული" (ლანჩხუთი) — 3:2.

**IV ზონა.** „კოლმეურნე" (ზუგდიდი)-„სპარტაკი" (მახარაძე) — 0:2, „სტროიტელი" (ჭიათურა)-„შრომა" (დიდი ჯიხაიში) — 2:1, „განთიადი" (ლაჯანურჰესი)-„გაზაფხული" (ზესტაფონი) — 2:1, სტალინის სახ. შახტი (ტყიბული)-„აბჰესი" (გეგეჭკორი) — 3:2, „ხვამლი" (ცაგერი)-„ციცქა" (თერჯოლა) — 3:0.

## ამხანაგური მატჩი

კვირას, „დინამოს" დილმის საწვრთნელ მოედანზე შედგა ამხანაგური მატჩი საქ. ალკკ თბილისის კომიტეტისა და გაზეთ „ლელოს" თანამშრომელთა გუნდებს შორის ფეხბურთში. თამაში დამთავრდა კომკავშირული მუშაკების გამარჯვებით ანგარიშით 5:4.



**საქართველოს 1958 წლის ჩემპიონები ნიჩბოსნობაში** მარცხნიდან — ლ. ნასყიდაშვილი, ი. ცოტაძე, ვ. ბუზიაშვილი, ა. აფხაზავა, ნ. ალიბეგაშვილი, თ. როსტიაშვილი, ხ. ხამხაძე.

ჩვენ გვწერენ

# აქ უგულებელყოფენ სპორტს

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძუბჟის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ბევრია სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდა, რომლებიც ერთ დროს მეცადინეობდნენ საკუთარ ბაზებზე, მართავდნენ სამატჩო შეხვედრებს მეზობელი სოფლის სპორტსმენებთან, მაგრამ მოედანი შარშან გადახნეს, ზედ ხეხილი დარგეს, სამაგიერო ნაკვეთის გამოყოფაზე კი დღემდე არავის უზრუნია. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე მ. შონია ყურადღებას არ აქცევს ახალგაზრდების სამართლიან მოთხოვნას. ამიტომ აქ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია. ერთ დროს მოქმედი სექციები ქაღალდზე დარჩა, არ სრულდება ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები. შარშან მშთ I საფეხურზე 15-ს ნაცვლად ძლივს მოახერხეს 3 ნიშნოსნის მომზადება. სოფლის სპორტულ ცხენებს, რომლებიც არაერთხელ წარმატებით გამოსულან რაიონის პირველობაზე, ყოველდღიურ შრომაში იყენებენ.

აძუბჟაში შექმნილ მდგომარეობას გულდამშვიდებული შეცქერის „კოლმეურნის" რაისაბჭო.

**ვ. დოხნაძე**

# გორის ჩემპიონატი

საინტერესოდ ჩატარდა გორის 1958 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა 15 მოჭადრაკე.

I-II ადგილები გაიყვეს გასული წლის ჩემპიონმა შ. თოთლაძემ და ბამბეულის კომბინატის წარმომადგენელმა გ. მუკნიაშვილმა (12-12 ქულა თვითეულს). III ადგილზე გავიდა ა. ჯაფიაშვილი (11 ქულა).

**ე. მენაბდიშვილი,**
შეჯიბრების მსაჯი.



# სპორტული ქრონიკა

**სტალინირი.** ჩატარდა სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ სტალინირელი ძალოსნები. პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: რ. მარგიევმა, ხ. პარასტაევმა, დ. ჯიოევმა, ნ. აბდუშელიშვილმა (ყველა სტალინირიდან), გ. ბასილაშვილმა (ლენინგორი), გ. ზასეევმა (კვაისა).

შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა დამაკმაყოფილებელი შედეგები.

**ვ. მელქოევი**

• • •

დამთავრდა ქარელის რაიონული სპარტაკიადა, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდნენ საშუალო სკოლებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივები. ფრენბურთსა და კალათბურთში გამარჯვებულები გამოვიდნენ ქარელის საშუალო სკოლის ფიზკულტურელები, ფეხბურთში — აგარელი სპორტსმენები. საერთო გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნა ქარელის საშუალო სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს.

სპარტაკიადის მრავალმა მონაწილემ შეასრულა მშთ ნორმები.

**მ. ხარატიშვილი**

# დისერტაციის დაცვა

მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების რუსეთის იმპერიის სკოლებში არსებული ფიზიკური აღზრდის საქმეში მოხდა ცვლილებანი, რაც გამოწვეულ იქნა ყირიმის ომთან დაკავშირებული დიდი სოციალური ძვრებით. ყურადღება გამახვილდა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი, რომელიც რეაქციულ, ხალხის საწინააღმდეგო ხასიათს ატარებდა, რაც ცხადია, კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს სახალხო განათლების სისტემასაც შეეხო.

ზემოხსენებულ პერიოდში რუსეთის იმპერიის სკოლებში არსებული ფიზიკური აღზრდის სისტემა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე იქცა ცალკეული ავტორების (ვ. იგნატიევი, ა. ტარანსკი და სხვ.). კვლევის საგნად.

რევოლუციის შემდეგ კვლევის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა და მთელი რიგი ახალი მკვლევარების ყურადღება მიიპყრო. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ არც რევოლუციამდელ და არც ახალ მკვლევარებს არ უწარმოებიათ მუშაობა ამ მიმართებით საქართველოში.

ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა საქართველოს მაშინდელ სკოლებში დღემდე შეუსწავლელი იყო, მაშინ, როცა სკოლების უმრავლესობაში (თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიები და პროგიმნაზიები, თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტი, თბილისის სასულიერო სემინარია, სხვადასხვა უწყების დაბალი საფეხურის სკოლები, ქალთა სასწავლებლები) ეს საგანი სწორედ იმ პერიოდში შემოვიდა.

ამ ხარვეზის შევსებას მიუძღვნა თავისი შრომა „ფიზიკური აღზრდა მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების საქართველოს სკოლებში" საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა ზ. შერაზადიშვილმა.

მიმდინარე წლის 13 ივნისს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე (თავმჯდომარე პროფესორი დ. გვრიტიშვილი) ზემოხსენებულ შრომას დადებითი შეფასება მისცეს ოფიციალურმა ოპონენტებმა პროფესორმა რ. ნათაძემ, დოცენტებმა — მ. გორგაძემ, ი. ქუასელმა და საბჭოს შემადგენლობამ.

ზ. შერაზადიშვილს საბჭომ ერთხმად მიანიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

**ა. დოკვაძე**

# წერილების კვალდაკვალ

„თბილისის ზღვაზე მოუწყობელია მისასვლელები. დღემდე გადაუწყვეტელია ბაზის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი, ფიზკულტურის კომიტეტის ნაწყლოსნო ბაზის მიმონგრეული ტერიტორია აქტიური დასვენების ყოველგვარ ინტერესს ანელებს" — აღნიშნული იყო ჩვენი გაზეთის 8 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში, „ნაცნობი სურათები".

როგორც თბილისის საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

• • •

ჩვენი გაზეთის 13 აპრილის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „უსახსრებოდ დაწყებული მშენებლობა". წერილში აღნიშნული იყო, რომ „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ ონში დაიწყო საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, რომელიც 1957 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ მთელი მშენებლობა „ამოიწურა" საძირკვლის ჩაყრით, რის შემდეგ ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელებს დაავიწყდათ შეპირებული მასალისა და თანხის გამოყოფა.

როგორც „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად თანხა გადაირიცხა და მიღებულია ზომები სამშენებლო მასალების გამოყოფისა და დარბაზის მშენებლობის გასაგრძელებლად.

# ოსტატის ნორმა

კომკავშირისა და დოსააფის თბილისის საქალაქო კომიტეტებმა ჩაატარეს სპარტაკიადა მსროლელთა სროლაში, რომელიც ... კომკავშირის მე-... რებაში, რომელიც ათ დღეს გრძელდებოდა, მონაწილეობდა 8 რაიონის 72 სპორტსმენი.

„სელპროექტის" ტექნოლოგმა ვ. სალუქვაძემ პისტოლეტიდან 50 მეტრზე სროლაში მოაგროვა 548 ქულა (60 ვაზნა) და სამი ქულით გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას. ეს შედეგი რესპუბლიკური რეკორდის განმეორებაა.

ა. პროზოროვმა (კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა) რევოლვერით 50 მეტრზე 60 გასროლით მოაგროვა 511 ქულა, რაც ერთი ქულით აღემატება სპორტის ოსტატისათვის საჭირო ნორმას. ჩვენი ქვეყნის რეკორდი დაამყარა ვ. პანკოვამ (78-ე სკოლა) 50 მეტრზე წოლელა სროლაში. მან 200 შესაძლებლიდან მოაგროვა 198 ქულა და მოხსნა თბილისელ ა. ვრანიაკის („დინამო") რეკორდი, რომელიც დამყარებული იყო ლვოვში ა. წ. მაისში.

გუნდური პირველობა მოიპოვეს სტალინის სახელობის რაიონის სპორტსმენებმა.

**ი. ხაზეიშვილი**

# გაიმარჯვეს იაპონელებმა

დამთავრდა აზიური თამაშები, რომელიც 8 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. თამაშებში გაიმარჯვეს იაპონიის სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიპოვეს 67 ოქროს, 41 ვერცხლისა და 30 ბრინჯაოს მედალი.

მეორე ადგილზე გამოვიდა ფილიპინების გუნდი, რომელიც საგრძნობლად ჩამორჩა გამარჯვებულს.







ჩვენი რესპუბლიკის პლანერისტები კარგა ხანია შეუდგნენ საწვრთნელ მეცადინეობას. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ კურსანტ კლარა ჩაჩიბაიას სასწავლო-საწვრთნელი გაფრენის წინ, რომელიც დოსააფ-მა მოაწყო ამას წინათ. პლანერი 300 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს და მის მოძრაობაზე დაკვირვებაც ბევრ სასარგებლოს აძლევს წვრთნაზე მოსულ სპორტსმენებს (სურათი მარჯვნივ). მაგრამ რა „თვალსაზრისით" შეჰყურებენ ასე დაბეჯითებით პატარა გოგონა და მისი თოჯინა პლანერის ჰაერთან ჭიდილს? ერთი რამ ცხადია— ისინი აღტაცებული არიან ნაცნობი „დეიდის სიმამაცით"...

ფოტოები დ. იაკობაშვილისა.

**სტოკჰოლმი.** როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის აგვისტოში შვეციის დედაქალაქში გაიმართება ევროპის პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი უკვე განაცხადა 28 ქვეყანამ. ყველაზე რიცხვმრავალი დელეგაცია გამოჰყავს საბჭოთა კავშირს — 48 ვაჟი და 32 ქალი.

• • •

**ბელგრადი.** იუგოსლაველმა პარაშუტისტებმა დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი ჯგუფურ ხტომაში. 1500-მეტრიანი სიმაღლიდან გადმოხტომისას ისინი ცენტრალურ წრეს 3,89 მეტრით დაცილდნენ. რეკორდსმენთა შორის არიან დ. დამიანოვიჩი, მ. რონკევიჩი, ბ. დობრინიკი.

• • •

**გეტებორგი.** ახალგაზრდა შვედმა მძლეოსანმა 24 წლის ბენგტ ნილსონმა უარი განაცხადა ევროპის პირველობაში მონაწილეობაზე. ჩემპიონატის დღეებში მან უნდა იმკურნალოს ზურგში მიყენებული სერიოზული ჭრილობის გამო.

**პარიზი.** აქ გაიმართა საფრანგეთისა და ჰოლანდიის ხელბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 13:11.

* * *

**ერფურტი.** ბულგარეთის კალათბურთელებმა დაამარცხეს ერფურტის გუნდი — 52:39. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გერმანელთა პირველი დამარცხებაა მიმდინარე წლის საერთაშორისო შეხვედრებში.

* * *

**ჰელსინკი.** კეგლისტთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები. გამარჯვება წილად ხვდათ მასპინძლებს.

* * *

**ლუგანო.** აქ გაიმართა მოციგურეთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა მთელი რიგი მიმდინარე საკითხები. სხდომაზე გადაწყდა ციგურებით ფიგურულ სრიალში ევროპის მორიგი ჩემპიონატის ჩატარება დავოსში 1959 წლის 5 თებერვლიდან. მსოფლიო პირველობა ციგურებით სრიალში ჩატარდება კოლორადო შპრინგსში (აშშ) 1959 წლის 24-28 თებერვალს.

* * *

**სიდნეი.** უძლიერესმა ავსტრალიელმა სპრინტერმა ნ. ტროვერმა სენსაციური შედეგი აჩვენა 80 მეტრზე თარჯრბენში — 10,6. მაგრამ ეს მიღწევა არ იქნა მიჩნეული მსოფლიო რეკორდად, ვინაიდან შეჯიბრების დროს ქროდა ზურგქარი.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების—3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03701